გურჯაანის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №3(185) 2019 წ. 1-15 თებერვალი ფასი 1 ლარი

პრემიერ-მინისტრმა სოფელ უდაბნოში საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა

პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში 63-ე საზოგადოებრივი ცენტრი გახსნეს. ეს ცენტრი კახეთის რეგიონში რიგით მეთორმეტეა.

სოფელ უდაბნოს მოსახლეობას და სტუმრებს ახალი საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა პრემიერ-მინისტრმა, იუსტიციის მინისტრმა და რეგიონული განვითარების საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა სოზარ სუბარმა მიულოცეს. ცენტრის პირველი მომხმარებელი უდაბნოს მკვიდრი გოჩა მარტიაშვილი იყო. მან უფასო ელექტრონული მოწმობების აქციის ფარგლებში პირადობის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი აიღო და ქაღალდის (ლამინირებული) პირადობის მოწმობა თანამედროვე დოკუმენტით შეცვალა.

პირადობის მოწმობების აქცია იუსტიციის მინისტრის ინიციატივით 1 თებერვლიდან მიმდინარეობს. საქართველოს იმ სრულწლოვან მოქალაქეებს,რომლებიც ამჟამად ფლობენ ქაღალდის (ე.წ. ლამინირებულ) ძველ პირადობის მოწმობას და ამ დრომდე მათ სახელზე არასდროს გაცემულა საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობა, ერთი თვის განმავლობაში, 1 მარტის ჩათვლით, შესაძლებლობა აქვთ, შეცვალონ ძველი დოკუმენტი ახალი პირადობის მოწმობით, რომელიც თანამედროვე, გაუყალბებელი და ევროპული დოკუმენტია!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი უდაბნო საზღვრისპირა სოფელია და რაიონულ ცენტრს 45 კილომეტრითაა დაშორებული. ადგილობრივი მოსახლეობა ახალი საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით უმოკლეს დროსა და კომფორტულ გარემოში მიიღებს 200-ზე მეტ კერძო და სახელმწიფო სერვისს.

სოფელ უდაბნოს საზოგადოებრივი ცენტრი პატარა სოფლის საჭიროებებზე მორგებული პროექტია, რომელიც თავისი არქიტექტურული ფორმით სხვა საზოგადოებრივი ცენტრებისგან განსხვავდება. პროექტი სპეციალურად იმ დასახლებებისთვის შეიქმნა,რომელთა მოსახლეობა 600 ადამიანს არ აღემატება.

საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა სოფელ უდაბნოში რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყდა. ეს სოფელი საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ მდებარეობს, ეთნიკური უმცირესობებითა და ეკომიგრანტებითაა დასახლებული და ტურისტულად აქტიურ ზონას წარმოადგენს. იგი უშუალოდ სამონასტრო კომპლექს დავითგარეჯას ესაზღვრება.

საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა კიდევ უფრო გაზრდის სოფლის ტურისტულ პოტენციალს. მობილური ოპერატორის მეშვეობით უზრუნველყოფილი 24-საათიანი კავშირი სამყაროსთან, საბანკო მომსახურება და 24-საათიანი უკაბელო ინტერნეტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად სოფელ უდაბნოს სტუმრებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება.

უდაბნოს საზოგადოებრივი ცენტრის გახსნას ესწრებოდნენ კახეთის სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ქადაგიშვილი, მერიისა და გამგეობის ხელმძღვანელები.

იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობის პროექტი რეგიონებში 2013 წლიდან ხორციელდება. მისი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისებით ადგილზე სარგებლობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. საზოგადოებრივი ცენტრები საჯარო და კერძო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია. ცენტრებში განთავსებულია კერძო კომპანიების „მაგთიკომის“ და „ლიბერთი ბანკის“ ფილიალები, რაც პენსიონერებს საშუალებას აძლევს, ადგილზე აიღონ პენსია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედ 62 საზოგადოებრივ ცენტრში ამ დრომდე ცენტრებში ახალგაზრდებისთვის მოწყობილია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც ელექტრონულ წიგნებთან ერთად ბეჭდური გამოცემებიცაა დაცული. ბეჭდური და ციფრული ბიბლიოთეკა, ასევე, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მოზარდებსა და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შეიძინონ ცოდნა. ინტერნეტის მეშვეობით მათ შეუძლიათ, მიიღონ მათთვის საჭირო და საინტერესო უახლესი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხზე, რის შესაძლებლობასაც ისინი მანამდე მოკლებულნი იყვნენ.

ბიბლიოთეკაში მოწყობილია გამოფენა სახელწოდებით „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“. გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ფოტოდოკუმენტური მასალების ასლები, რომლებიც 1918-21 წლების მნიშვნელოვან მოვლენებს ასახავს.

დანიშვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ზოთა კაკაბაძე

დაიბადა 1975 წელს

განათლება: საქართველოს ღია ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, ფაკულტეტი – ფინანსები და კრედიტები (1994წ), თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, ფაკულტეტი – მადუღარ ნივთიერებათა ტექნოლოგია (1992-1996წწ).

სამუშაო გამოცდილება: ინსპექტორი – საქართველოს საგადასახადო ინსპექცია, გარდაბნის რაიონი (1997-1998წწ); საგადასახადო ინსპექცია, თბილისი, საბურთალოს რაიონი. (1998წ); საგადასახადო კონსულტანტი – აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია „ბექა ჯგუფი“ (1998-2001წწ); ინსპექტორი – ფინანსთა სამინისტრო, გარდაბნის რაიონული საგადასახადო ინსპექცია (2001-2004წწ); უფროსი ინსპექტორი – რუსთავის რეგიონული საგადასახადო ინსპექცია (2004-2007წწ); ფინანსური დირექტორი (2004-2007წ;) დირექტორი (2008-2009წწ); ვიცე-პრეზიდენტი – შპს „XXII საუკუნე“ (2009-2010წწ); დირექტორი – შპს „ნევოილ ტერმინალი“(2010-2011წწ); დირექტორი – შპს „სერვისი-2011“ (2011-2014წწ); დასავლეთ საქართველოს კოორდინატორი – სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (2014-2018წწ).

შეხვედრა მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან

12 თებერვალს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან საანგარიშო შეხვედრა გაიმართა. 2019 წლის იანვარში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მხარდაჭერით, მსოფლიო ბანკის „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ წყალმომხმარებელთა განვითარების ხელშეწყობის ჯგუფმა, შპს „საქართველოს მელიორაციის“ სერვის ცენტრის წარმომადგენლებთან მჭიდრო კოოპერაციის ფარგლებში, დაასრულა პროექტით გათვალისწინებული ქვემო სამგორის საირიგაციო სისტემის (მარჯვენა მაგისტრალური არხის) მომსახურების ტერიტორიაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფერმერთა საინიციატივო ჯგუფებთან შეხვედრების მორიგი რაუნდი.

ჩატარებული შეხვედრები ითვალისწინებდა საგარეჯოდან, სოფ. წყაროსთავიდან, ნინოწმინდიდან, გიორგიწმინდიდან, დუზაგრამიდან, იორმუღანლოდან, თულარიდან, ლამბალოდან წარმოდგენილი ფერმერებისათვის წყალმომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და ცნობიერების ამაღლების სემინარების ჩატარებას.

მიმდინარე სემინარების ძირითად თემებს წარმოადგენდა აღნიშნული სისტემის შიდა-სამეურნეო ქსელების დაგეგმილი საპროექტო სამუშაოების დაწყების (თებერვალი-მარტი) და წყალმომხმარებლების მხრიდან ამ პროცესის აქტიური ხელშეწყობის მნიშვნელობის შესახებ საკითხები.

ამასთან ერთად, ფერმერების მადალი ინტერესიდან გამომდინარე, აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობის მიზნით, განხილული იქნა წყალმომხმარებელთა სამუშაო ჯგუფების, საბჭოების (საზოგადოებრივ საწყისებზე) ფორმირების მიზანშეწონილობა (სემინარებზე წარმოდგენილი მოტივირებული, შესაბამისი ტექნიკური ცოდნის მქონე ფერმერების გათვალისწინებით).

წყალმომხმარებლების ჯუფების, საბჭოების მონაწილეობის განხორციელება გულისხმობს საპროექტო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის პროექტის ჯგუფის და შპს „საქართველოს მელიორაციის “წარმომადგენლებთან ერთად ადგილებზე ტექნიკური პრობლემების ერთობლივ იდენტიფიცირებას, მათი მხრიდან ტექნიკური საკითხების წარმოდგენას და განხილვას, რათა საპროექტო ორგანიზაციის მიერ შიდა-სამეურნეო ქსელების დეტალური პროექტის მომზადებისას მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული (ლოგიკური ტექნიკური გადაწყვეტილებების შესაძლებლობის ფარგლებში) ფერმერების/წყალმომხმარებლების ინტერესები.

იანვრის მდგომარეობით, ქვემო სამგორის საირიგაციო სისტემის (მარჯვენა მაგისტრალური არხის) მომსახურების ტერიტორიაზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფერმერების,წყალმომხარებელების წარმომადგენელთა თანხმობით ფორმირებულია სამი წყალმომხმარებლების სამუშაო ჯგუფი/საბჭო, რაც უზრუნველყოფს მათ ორგანიზებულ ჩართულობას ზემოდასახელებული საპროექტო სამუშაოების განხორციელების პროცესში.

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲔᲑᲘ

5 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 2019 ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე*** **ᲚᲔᲥᲡᲝ ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** უძღვებოდა. მან თათბირის მონაწილეებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ახალი მოადგილე **ᲨᲝᲗᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ** წარუდგინა.

თათბირს მერიის სამსახურების უფროსები, განყოფილებათა გამგეები, ტერიტორიულ ორგანოებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ლექსო გილაშვილმა თათბირის მონაწილეებს კიდევ ერთხელ შეახსენა ის პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც სოფლის მოსახლეობის წარმომადგენელთა მიერ სოფლის კრებებზე დაისვა. პრიორიტეტების მიმოხილვისას საუბარში მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი როსტომ ბაქრაძე ჩაერთო, რომელმაც მერის წარმომადგენლებს უფრო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა შესთავაზა ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული პრობლემების წარმოქმნისას. როგორც მან აღნიშნა: – მოსახლეობასთან შეხვედრისას გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებიც დღეს სოფლის მოსახლეობისათვის პრობლემადაა ქცეული. მათ გავაცანით ამ პრობლემების მოგვარების შესაძლებლობა, რასაც გვაძლევს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან თითოეულ სოფელზე დაშვებული საკმაოდ სოლიდური თანხები.

ამასთან, აუცილებელია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა ჩვენს სამსახურს დროულად და ოპერატიულად მოგვაწოდონ ინფორმაცია რაიმე გაუთვალისწინებელი პრობლემის წარმოქმნისას – ვთქვათ, სასმელი წყლის მილი დაზიანდა, ან სათავე-ნაგებობა და ა.შ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება ასეთი პრობლემების მყისიერი მოგვარების.

თათბირზე გაკეთდა ინფორმაცია – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 4 თემის სოფლებში – იორმუღანლო, დუზაგრამა, ლამბალო, თულარი აქტიურად მიმდინარეობს უფასო აცრები ვირუსულ დაავადება „წითელაზე“.

საუბარი შეეხო სოფლების დასუფთავების საკითხსაც. როგორც ლექსო გილაშვილმა განაცხადა, გასულ წელს შემოტანილია 400 ერთეული ნაგვის ურნა, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტი საჭიროებს კიდევ 400 ურნის დამატებას.

თათბირზე დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები სოფლების გზების მოწესრიგებასა და დაზიანებული სასმელი წყლის მილების ამოცვლის სამუშაოების დაჩქარებაზე.

12 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 2019 ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერი*** **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲔᲠᲑᲝᲬᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** უძღვებოდა. თათბირს მერის I მოადგილე ლექსი გილაშვილი, მერიის სამსახურებისა და განყოფილებათა გამგეები, ტერიტორიულ ორგანოებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გიორგი ერბოწონაშვილმა თათბირი დაიწყო შეკითხვით: სად, რომელ სოფელში რა პრობლემებია? და აქვე დასძინა: – პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება, იმავე დღეს უნდა იქნეს შესწავლილი შესაბამისი სამსახურების მიერ და იმავე დღეს მოგვარებულიც. კონკრეტულად, დაზიანდა სასმელი წყლის მილი? იმავე დღეს უნდა გამოიყოს თანხა მის შესაძენად და პრობლემების აღმოსაფხვრელად ჩატარდეს შესაბამისი სამუშაოები. ჩვენ გვაქვს ასეთი პრობლემების მყისიერი მოგვარების საშუალება, გვაქვს შესაბამისი თანხები და ტექნიკა. ეს ისე უნდა ხდებოდეს, რომ მოსახლეობა არ დარჩეს სასმელი წყლის გარეშე თუნდაც რამდენიმე დღე. ამასთან, იმისათვის, რომ მოგვარდეს მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდება თუნდაც გრაფიკის მეშვეობით, ჩვენ უნდა გადავხედოთ სოფლებში სასმელი წყლის მარეგულირებელთა რაოდენობის მომატების საჭიროებას და თუ საჭირო და აუცილებელია, არსებულ შტატებს კიდევ დავუმატოთ გარკვეული რაოდენობა. ასეთი გადაწყვეტილება დაარეგულირებს სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებას. ამის მაგალითი უკვე გვაქვს სოფელ ყანდაურაში, სადაც წლების განმავლობაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებაში გარკვეული შეფერხებები იყო.. ისიც მინდა შეგახსენოთ, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის ყველა შემკრები და სათავე-ნაგებობა იქნება მოწესრიგებული.

მართალია დიდთოვლობას მიმდინარე ზამთარში არ შევუწუხებივართ, მაგრამ არ არის გამორიცხული გაზაფხულზე ხშირი და უხვი ნალექი, რაც ჩვენს ტერიტორიაზე არსებული ხევებისათვის საშიშროებას წარმოადგენს. ამიტომ, ჩვენი მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურმა ოპერატიულად უნდა დაითვალოს ჩვენს ტერიტორიაზე არსებული ხევები, შეისწავლოს მათი მდგომარეობა და მოვახდინოთ ჩვენი ტექნიკით გაწმენდა.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სოფელ თოხლიაურში არსებულ პრობლემატურ „ყიასაანთ ხევს“ და მანავში არსებულ ხევებს.

გიორგი ერბოწონაშვილმა თხოვნით მიმართა მერიის თითოეულ წარმომადგენელს – ყურადღებით შეისწავლონ სოფელში მცხოვრები თითოეული ოჯახის ეკონომიურ-სოციალური მდგომარეობა, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სიები მოიტანონ მერიაში. როგორც მან აღნიშნა: – შეიძლება ზოგი ისეთი გაჭირვებული იყოს, მერიამდე მისვლაც ვერ შეძლოს, მას უნდა დავეხმაროთ შეძლებისდაგვარად, სწორედ ასეთ ოჯახებზე უნდა ვფლობდეთ დაზუსტებულ ინფორმაციას.

ამასთან, გიორგი ერბოწონაშვილმა თხოვნით მიმართა მერის წარმომადგენლებს, ყურადღება მიაქციონ საბავშვო ბაღებში ბავშვთა კვების საკითხს. არც ერთი ბავშვი და მშობელი არ უნდა იყოს უკმაყოფილო ბაღში არსებული კვებით, რადგან მუნიციპალიტეტი საკმაო თანხებს ხარჯავს, რათა საბავშვო ბაღში მაღალხარისხოვანი პროდუქტი შევიდეს. მენიუც საკმაოდ მრავალფეროვანია, შეიძლება მავანმა თქვას, გამგებლის წარმომადგენელს ამის უფლება არ აქვსო, მაგრამ ჩვენ თითოეულ ბავშვზე, თითოეულ ჩვენს მოსახლეზე ვართ პასუხისმგებელი და მით უმეტეს საადმზრდელო-სასწავლო დაწესებულებებში მიმდინარე მუშაობაზე.

ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲐᲙᲐᲑᲔᲗᲘ

ᲐᲮᲚᲝ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ

„– ᲗᲐᲮᲣᲨᲢᲘ ბაგრატიონს თავის შესანიშნავ გამოკვლევაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ თუ რატომ გამორჩა სოფელი კაკაბეთი, ამას ვერავინ ხსნის, – ამბობდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი ალექსანდრე ელერდაშვილი, – შეიძლება მხოლოდ ერთი ახსნა ჰქონდეს – მეჩვიდმეტე საუკუნის I ნახევარში ირანის მბრძანებლის შაჰ-აბასის მიერ აოხრებულ კახეთის სოფლებს შორის ამ პერიოდისათვის კაკაბეთიც ნასოფლარს წარმოადგენდა. როცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, აკადემიკოსმა გულდენშტედტმა 1771 წელს კაკაბეთი და ყანდაურა მოინახულა, თურმე ორივე ნასოფლარებსდა წარმოადგენდა.

კაკაბეთის ხელმეორედ დასახლება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში უნდა მომხდარიყო – ძირითადად აქ ქართლიდან, მთიანი ყარაბაღიდან და ერევნის სახანოდან გამოსახლებული ეთნიკური სომხები დასახლდნენ.

ქართლიდან, სოფელ კავთიდან გადმოსახლებულებმა აქ თავიანთი წარმომავლობის არდასავიწყებლად იქაური კავთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის „შვილობილი“ კავთა ააშენეს და ყოველი წლის აპრილსა და ნოემბერში აქ დიდი პატივისცემით აღნიშნავენ დღესასწაულს „კავთობა“.

კაკაბეთს ბევრი სასახელო შვილი ჰყავს. მათ შორის იოსებ მჭედლიშვილიცაა (1888-1950წწ). ის იყო ქართველი მწერლობის ერთ-ერთი უპრეტენზიო წარმომადგენელი, პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი.

XX საუკუნის I ათწლეულში საქართველოში თითქმის მივიწყებული იყო ქართული სიმღერები. როგორც იოსებ მჭედლიშვილი იგონებს: „1927 წელს ძველმა საზოგადო მოღვაწემ ნიკოლოზ ერისთავმა თბილისში სალიტერატურო საღამოს გამართვა განიზრახა... ნიკოლოზ ერისთავმა მეც მთხოვა ამ საქმეში დახმარება. ვურჩიე, საღამოს პროგრამაში შეეტანათ ქართული ხალხური სიმღერები კახელ გლეხთა გუნდის შესრულებით“. საკუთარი მოსაზრება შემდეგში იოსებ მჭედლიშვილს პირნათლად შეუსრულებია და ამ წამოწყებით საფუძველი ჩაეყარა ქართული ფოლკლორის აღორძინებას.

იოსებ მჭედლიშვილმა შეძლო კაკაბეთში მიხა ჯიღაურის ხელმძღვანელობით არსებული სიმღერის გუნდისთვის შეეერთებინა კახეთში არსებული მომღერლების ჯგუფი, რის შედეგადაც მიიღო ქართული ხალხური სიმღერების შესანიშნავი გუნდი. იგი სოფლიდან სოფელში გადადიოდა და პირადად ეძებდა ხმებს. ამ გზით მან მიაკვლია საუკეთესო ხალხური სიმღერების გუნდს, რომელსაც სასულიერო პირი, დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის ხაშმის ფილიალის ბერ-მონაზონი გიორგი ეპიტაშვილი ხელმძღვანელობდა. კაკაბეთისა და ხაშმის მომღერალთა გუნდების შეერთებით იოსებ მჭედლიშვილმა საუკეთესო გუნდი შექმნა და 1928 წლის 11 თებერვალს თბილისის კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში დიდი კონცერტი ჩაატარა. სწორედ ეს თარიღი ითვლება გარე კახეთში ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლის დაფუძნების ისტორიულ თარიღად.. ამ კონცერტზე კაკაბეთის გუნდმა მიხა ჯიღაურის ლოტბარობით შეასრულა ისეთი სიმღერები, როგორიცაა: „ურმული“, „ოროველა“, „ჩაკრულო“, „ბერიკაცი ვარ“, „მრავალჟამიერი“, ხოლო ხაშმის გუნდმა – „ფშაური“, „ძლიერ სტიროდა“, „მაყრული“, „ძმებო, რა სჯობდა ძმობასა“...

კონცერტს დასწრებიან საქართველოში იმ დროს გავლენიანი მუსიკათმცოდნეები, რომელთაც რეკომენდაცია მისცეს იოსებ მჭედლიშვილს აღნიშნული გუნდების მონაწილეობით კონცერტები ჩაეტარებინათ სოფლებში და შრომით კოლექტივებში, რითაც ხელი შეეწყო მოსახლეობაში მუსიკალური ფოლკლორის განვითარების საქმეს.

1929 წლის 6 მაისს თბილისში გამართულ საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადაზე საგარეჯოს ფოლკლორულმა გუნდმაც მიიღო მონაწილეობა იოსებ მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით, სადაც შესრულდა სამი სიმღერა: „კახური მრავალჟამიერი“, „ბერიკაცი ვარ“, „მკის სიმღერა“. აქ მიხა ჯიღაურთან ერთად მღეროდა ახალგაზრდა ივანე მჭედლიშვილი, რომელსაც დიდი ყურადღება მიაქციეს მუსიკათმცოდნეებმა. შემდეგში ივანე მჭედლიშვილი იოსებ მჭედლიშვილის საქმის გამგრძელებელი გახდა. , გლეხი მომღერალი მიხა ჯიღაური კი ლეგენდად იქცა.

იოსებ მჭედლიშვილი მარტო ქართული ხალხური სიმღერების პოპულარიზატორი არ იყო. მან ფასდაუდებელი როლი შეასრულა ქართული ხალხური სამეურნეო ტრადიციების შეკრებისა და მეცნიერების საკუთრებად ქცევის საქმეში. ივანე ჯავახიშვილს იოსებ მჭედლიშვილის კონსულტაციები გამოყენებული აქვს თავის ფუნდამენტურ შრომაში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-7 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

სოფლის მეურნეობა

საფუძველი ეყრება წლის მოსავალს
დასაწყისი იმედიანია

საგარეჯოს *მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მეურნეობა დღესაც რჩება საქმიანობის ძირითად მიმართულებად. თუ როგორ არის მიმდინარე წლისათვის წარმოდგენილი ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის შემოსავლის ეს ძირითადი დარგი, რა კეთდება და გაკეთდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვმოსავლიანობისათვის, ამის შესახებ გვესაუბრება* *საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი* **ბივი მათიაშვილი.**

– ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მევენახეობაა. რა ფართობი უკავია მიმდინარე წლისათვის ვენახებს და აქედან რამდენი ჰექტარია მსხმოიარე, რამდენი ახალშენი?

– მიმდინარე წლისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ვენახების ფართობი 5000 ჰექტარია, საიდანაც მსხმოიარეა 4700, ხოლო ახალშენი 300 ჰექტარი, რომელთა ფართობები წელს კიდევ უფრო გაიზრდება.

– ახალი ვენახების გაშენებას გულისხმობთ, ალბათ?

– რა თქმა უნდა. ჩვენი სამსახურის მონაცემებით დღეისათვის, მუნიციპალიტეტში პლანტაჟად მოხნულია დაახლოებით 1100 ჰექტრამდე ფართობი, საიდანაც, ჩვენი პროგნოზით გაშენდება 350-400 ჰექტარი. აქვე განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გასაშენებელი ვენახების 60-70%-ს საფერავის ჯიშის ვაზი დაიკავებს, რასაც განაპირობებს ამ ჯიშის ყურძენზე გამოცხადებული საკმაოდ მისაღები შესასყიდი ფასები.

– შარშან საგარეჯოელმა მევენახეებმა რაიონის ისტორიაში ყურძნის რეკორდული მოსავალი მიიღეს. რა სამუშაოებიო ჩატარდა და ტარდება ვენახებში იმისათვის, რომ აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩაეყაროს უხვმოსავლიან შემოდგომას და ჩვენი მევენახეები წელსაც კმაყოფილნი დარჩნენ თავიანთი შრომის შედეგით?

– სადღეისოდ, ჩვენი მონაცემებით ვენახების მთლიანი ფართობებიდან მოხნული და დამუშავებულია 90%-ზე მეტი, ანუ 4500 ჰა ვენახის რიგთაშორისები, 3000 ჰექტარზე მეტ ფართობზე შეტანილია სხვადასხვა სახის სასუქი, გასხლულია 3000 ჰა-ზე მეტი ვენახი. ეს სამუშაოები დღესაც შეუფერხებლად მიმდინარეობს, რასაც მუშაობისთვის ხელსაყრელი ამინდებიც უწყობს ხელს. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ჩვენი მევენახეები აგროვადებში მოამთავრებენ ამ სამუშაოებს და ასევე, დროულად შეუდგებიან სხვა მომდევნო სამუშაოების შესრულებას.

– ბოლო წლებში რაიონში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სხვა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენება, რასაც ხელს ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული შესაბამისი ხელშემწყობი პირობები განაპირობებს. რა ფართობი უკავია რაიონში ხეხილის ბაღებს და წელს კიდევ თუ შეემატება ამ ფართობებს რაიმე?

– მიმდინარე წლის დასაწყისისთვის ჩვენს რაიონში ხეხილის ბაღების მთლიანი ფართობი 2219 ჰექტარს შეადგენს. აქედან თესლოვანი და კურკოვანი ხეხილი გაშენებულია 831, კაკლოვანები – 1315, კენკროვანი ხილი – 31, სუბტროპიკული ხილი – 42 ჰექტარზე.

ხეხილის ბაღების ფართობების ზრდას განსაკუთრებით შეუწყო ხელი სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“-ს ამოქმედებამ, რომლითაც ფერმერებს გრანტის სახით გადაეცემა გასაშენებელი ნერგების ღირებულების 70% სახელმწიფო, ასევე აფინანსებს წვეთოვანი რწყვის სისტემის დამონტაჟების 50%-ს.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ხეხილის ბაღების გაშენებაში სიახლეა ის, რომ გასულ წელს პირველად გაშენდა კენკროვანი კულტურების ბაღები, კერძოდ, ხაშმში, მანავში, ბადიაურში უეკლო მაყვლისა და ჟოლოს სახით.

ჩვენი ვარაუდით 2019 წელს მუნიციპალიტეტში ხეხილის ბაღები კიდევ გაშენდება 300-დან 500 ჰექტრამდე, რისთვისაც გასულ წელს ჩვენი სამსახურის მიერ მომავალ ფერმერებზე გაიცა 38 ცნობა ამ ბაღების გაშენებაზე.

– წლევანდელი მოსავლისათვის რამდენ ჰექტარზეა დათესილი საშემოდგომო თავთავიანები და საგაზაფხულოდ რა კულტურები დაითესება?

– საშემოდგომო კულტურებს წელს რაიონში 12800 ჰა ფართობი უკავიათ, აქედან საშემოდგომო ხორბალი დათესილია 10000, ქერი – 2600, სხვა კულტურები – 200 ჰექტარზე. რაც შეეხება საგაზაფხულო კულტურებს, ჩვენი პროგნოზით საგაზაფხულოდ დაითესება შვრია – 30, სიმინდი – 6500, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები – 700, მზესუმზირა – 1400, ქერი – 50, სხვადასხვა კულტურები – 300 ჰა-ზე, რისთვისაც ნაწილობრივ უკვე მომზადებულია და ახლაც მიმდინარეობს ნიადაგის დამუშავების სამუშაოები.

– რას გვეტყოდით საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნათესების ზამთრის გამოკვების შესახებ? თუ ტარდება ჩვენთან მათი ტენდაგროვებითი რწყვა?

– საშემოდგომო კულტურების 60%-ზე მეტს ჩატარებული აქვს საშემოდგომო გამოკვება (7700ჰა). მეორე საგაზაფხულო გამოკვება საჭიროა დაიწყოს მარტის თვიდან აზოტოვანი სასუქებით. რაც შეეხება ამ ნათესების რწყვას, ჩვენი მონაცემებით ეს სამუშაოები არ განხორციელებულა.

– მევენახეობის შემდეგ, ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობაში მეორე პრიორიტეტული დარგი მეცხოველეობაა. როგორაა წარმოდგენილი იგი მიმდინარე წლისათვის, როგორ მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება და რა პრევენციული ღონისძიებები ტარდება მათი დაავადებების თავიდან ასაცილებლად?

– „საქსტატის“ მონაცემებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტი 2018 წელს მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რაოდენობით აღმოსავლეთ საქართველოში პირველ ადგილზეა. ამ წლის მონაცემებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა შეადგენდა 32680 სულს, ღორი – 5050, ცხვარი – 230000 სულს, ფრინველი – 672690 ფრთას, ფუტკრის ოჯახი – 4560 სკას. რაც შეეხება მათი გამოზამთრების საქმეს, ხელსაყრელი ზამთრის ამინდებისა და სათანადო სამსახურების მიერ გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად ყოველგვარი შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს.

– თანამედროვე სოფლის მეურნეობის ეფექტურად მართვისა და მისი უხვმოსავლიანობის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებაა მიჩნეული. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენთან?

– მუნიციპალიტეტში სადღეისოდ რეგისტრირებულია 44 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. აქედან, 16-ს შეუჩერდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი. დღეისათვის ფუნქციონირებს 28 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, აქედან 4 მეფუტკრეობის მიმართულების, დანარჩენი კი შერეული სახის, რომლებიც სარგებლობენ მთავრობის მიერ დაშვებული ხელშემწყობი პროგრამებითა და შესაბამისი შეღავათებით. სათქმელი რომ არ გაგვიგრძელდეს, ზემოთმოყვანილი საუბრისა და ციფრებზე დაყრდნობით, იმის თქმა შეიძლება, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში იმედიანი ნაბიჯები იდგმება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გზაზე და ისინი უსათუოდ კეთილისმყოფლად აისახება ჩვენი გლეხკაცობისა და ფერმერების ცხოვრებაზე.

ესაუბრა *ბივი დაბახიშვილი*

ქალაქისა და სოფლების მომვლელები

შპს „პროგრესი-2011“ (დირექტორი ნიკა კოხტაშვილი) 2011 წელს ჩამოყალიბდა. დღეს საზოგადოების განკარგულებაშია 12 ავტომანქანა, რომელსაც 11 მძღოლი ემსახურება. საზოგადოების დანარჩენი 65 თანამშრომელი ქალაქის ქუჩების დამგველები, პარკების (რუსთაველის, ერეკლე II-ის, ჯაფარიძის ქუჩებზე, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, პატარძეულის „გმირთა სავანეს“ ტერიტორიაზე არსებული) მომვლელები არიან. ამასთან, მათვე ევალებათ გამწვანების სამუშაოების შესრულებაც – ხეების ძირების შეთეთრება, ქუჩებში არსებული ხეების გადაბელვა, სათავის ტყე-პარკის მოვლა– ხეების შეკრეჭვა, ტერიტორიის დასუფთავება, სანაიღვრე არხების (რომლის საერთო სიგრძე 40 კმ-ია, ამოსუფთავება-ამოწმენდა (საგარეჯოს ნინოწმინდის, გიორგიწმინდის ტერიტორიაზე), ქუჩების მორწყვა-გადარეცხვა – ყოველდღიურად საზოგადოების მუშაკებს საყოფაცხოვრებო ნარჩენები გააქვთ საგარეჯოს ქუჩებიდან, ღღეგამოშვებით კი სოფლებიდან: პატარძეული, წყაროსთავი, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, მანავი.

გასულ წელს მათ მიერ იქნა გადაბელილი რუსთაველის, აღმაშენებლის, თამარ მეფის ქუჩებზე არსებული მრავალწლიანი ხეები.

ასე, რომ კონკურსში „სუფთა რეგიონი-2018“ კახეთის გამარჯვებაში საგარეჯოს შპს „პროგრესი-2011“-საც თავისებური წვლილი აქვს შეტანილი.

შპს «მექანიზატორი» უქმდება?!

გია მარხვაშვილი:
„არ მინდა ეს ტექნიკა რაიონიდან გავიდეს...“

შპს „მექანიზატორის“ *საგარეჯოს ბრიგადისა და მისი მენეჯერის გია მარხვაშვილის სახელი კარგადაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში. ეს სახელი მათ თავიანთი შრომითა და გარჯით აქვთ მოპოვებული და მუდამ მოიხსენიებიან მოწინავე კოლექტივებს შორის. თებერვლის დასაწყისში, როცა მათ კვლავ ვეწვიე სამომავლო გეგმების გასაცნობად, გია მარხვაშვილი სიახლით დამიხვდა სამსახურში: შპს „მექანიზატორმა“ დაიწყო აუქციონზე თავისი ტექნიკის გაყიდვა, ამიტომ ეს ტექნიკა, რომელსაც მიღების დღიდან (2008 წელი) თვალისჩინივით ვუფრთხილდებით, ჩვენი რაიონიდან რომ არ გავიდეს, დავაფუძნეთ ინდსაწარმო „გია მარხვაშვილი“, რომელიც აუქციონზე ყიდულობს ამ ტექნიკას. სადღეისოდ უკვე შევიძინეთ 7 ერთეული მაღალმწარმოებლური ტრაქტორი, რისთვისაც ათასობით კრედიტისა და ვალის აღება და მთელი ქონების გირაოში ჩადება მომიწიაო.*

– ისე გამოდის, რომ შპს „მექანიზატორი“ და მისი ფილიალები გაუქმდება, არა?– ვუსვამ პირველ კითხვას.

– ჯერჯერობით ჩვენთან ეს ტექნიკა ორივე სახით არსებობს. გვაქვს როგორც შპს-ს, ისე ინდსაწარმოს კუთვნილი ტრაქტორები. ჯერჯერობით აუქციონზე „მექანიზატორი“ მხოლოდ ტრაქტორებს ყიდის, კიდევ გათვალისწინებულია 500 ერთეულის გაყიდვა, კომბაინები არ იყიდება, ვნახოთ, რა იქნება შემდეგ.

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე შპს „მექანიზატორის“ საგარეჯოს ბრიგადისა და ინდსაწარმოს უფროსი თქვენ ბრძანდებით. კიდევ თუ აპირებთ ინდსაწარმოსთვის მომავალში ტექნიკის შეძენას?

– რა თქმა უნდა. მართალია ძნელი საქმეა, მაგრამ როგორც გითხარით არ მინდა ჩვენი ტექნიკა რაიონიდან გავიდეს და ალბათ 5-6 ერთეულ ტრაქტორს კიდევ შევიძენთ.

– კარგი, ეს გასაგებია, მაგრამ რა ბედი ელით აქ დასაქმებულ მექანიზატორებს, შეინარჩუნებენ სამსახურს?

– ეს ბიჭები აქ დაიზარდნენ, ჩამოყალიბდნენ და დაოსტატდნენ, იქცნენ პროფესიონალებად. ამიტომ, ტექნიკის შენარჩუნებასთან ერთად არც მათ დავტოვებთ უმუშევრად და ულუკმაპუროდ. მათ ყველას თავიანთი ოჯახები აქვთ, შვილები, შვილიშვილები ჰყავთ სარჩენი, თანაც, როგორც აღვნიშნე, ისინი თავისი საქმის პროფესიონალები არიან და ასეთი ხალხის გაშვება ნამდვილად არასწორი იქნებოდა. კიდევ ერთი რამით არიან ჩვენი მექანიზატორები გამორჩეულები. ტექნიკა რომ გაუფუჭდებათ, მთელ დღეს თავს გადააკლავენ მის შეკეთებას, თუ საჭირო გახდა, ღამითაც იმუშავებენ და მეორე დილით უკვე გამართული ტექნიკით გადიან სამუშაოზე. ასეთები არიან შალვა ტიგინაშვილი, თედო სულიკაშვილი, თენგიზ მახარიკაშვილი, დავით დარისპანაშვილი და რომელი ერთი ჩამოვთვალო. ყველანი ერთმანეთზე უკეთესები და საქმის ერთგულები არიან.

– სადღეისოდ რა სამუშაოებს ასრულებთ?

– სადღეისოდ ჩვენი მექანიზატორები საგაზაფხულო კულტურებისათვის ნიადაგის დამუშავებით არიან დაკავებული. მანამდე მათი ხელით დამუშავდა ასობით ჰექტარი სავენახე და ხეხილის ბაღების გასაშენებელი ნიადაგი, საშემოდგომო თავთავიანებისათვის გათვალისწინებული ფართობები და ა.შ.

– ბატონო გია, ყველა, ვისაც თქვენი მექანიზატორების მომსახურებით უსარგებლია, ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაოები უფრო ხარისხიანი და ეკონომიურად ხელსაყრელი, უფრო იაფია, ვიდრე ტექნიკის კერძო მფლობელების შესრულებული სამუშაოები. ეს ტენდენცია ინდსაწარმოშიც შენარჩუნდება, ანუ როგორი იქნება მიწის დამუშავების ფასები თქვენთან?

– ადრე, შპს-ს პირობებში, ჩვენ სამუშაოებს საკუთარი საწვავით ვასრულებდით. ახლა კი საწვავით დამკვეთმა თვითონ უნდა გამართოს. ე.წ. პლანტაჟად მიწის დამუშავებისას გათვალისწინებულია 200 ლარი, ცალპირად მოხვნისათვის კი – 50 ლარი 1 ჰექტარზე. ოღონდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საწვავი აუცილებლად ხარისხიანი უნდა იყოს, რის გარეშეც ტექნიკა მალე გამოდის მწყობრიდან და ახლანდელი ტრაქტორები ისეთია, ერთი ე.წ. „ფარსონკაც“ რომ გაუფუჭდეს, ყველა – ექვსივე უნდა გამოიცვალოს. ამ პირობებში, როცა ადგილზე მარაგნაწილები არაა და საზღვარგარეთიდან ხდება მათი შემოტანა, ადვილი წარმოსადგენია, რა თანხებთანაა დაკავშირებული ყოველი ასეთი გაუთვალისწინებელი რემონტი.

ესაუბრა *ბივი დაბახიშვილი*

შევინარჩუნოთ სისუფთავე
საქმით გამართლებული სახელი

როგორც ცნობილია კახეთის რეგიონი გამარჯვებული გამოვიდა ქვეყნის მასშტაბით გამოცხადებულ კონკურსში „სუფთა რეგიონი-2018“. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი მუნიციპალიტეტის შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი-2018“-ის კოლექტივს (ხელმძღვანელი თემურ ილაური). ჩვენი მუნიციპალიტეტი ფაქტიურად კახეთის რეგიონის კარიბჭეს წარმოადგენს და დედაქალაქიდან მომავალ მგზავრსა თუ დამთვალიერებელს აქედანვე ექმნება შთაბეჭდილება საერთოდ კახეთზე. სისუფთავე და წესრიგი კი მართლაც იგრძნობა რაიონის ტერიტორიის პირველივე მონაკვეთიდან, რასაც უზრუნველყოფენ აღნიშნული დასუფთავების სამსახურის მუშაკები. ყოველდღიურად დილის საათებიდანვე შეხვდებით კახეთის გზატკეცილის გასწვრივ მომუშავე აღნიშნული საზოგადოების მუშაკებსა და მანქანებს, რომლებიც აგროვებენ და შემდეგ ნაგავსაყრელზე გადააქვთ დაუდევარი მგზავრებისა თუ ავტომძღოლების მიერ გადაყრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები. გარდა აღნიშნულისა, ისინი, ასევე ზრუნავენ ქალაქ საგარეჯოს ქუჩების სისუფთავისა და სოფლებიდან ნაგვის გატანაზე. საგარეჯოს ქუჩებში დილით ადრე გამოსული ადამიანები თვითმომსწრენი არიან, როგორი მონდომებით მუშაობენ ქუჩების დაგვა-დასუფთავებაზე ეს მართლაც ამაგდასაფასებელი ადამიანები, არც თუ იშვიათად კი, ამ საქმიანობას ისინი საღამოს საათებიდანვე იწყებენ.

სულ სამსახურში დასაქმებულია 32 თანამშრომელი, აქედან ოთხი მძღოლი და 12 მუშა. რაც შეეხება მათ „სამოქმედო არეალს“, მთლიან რაიონს მოიცავს, ქალაქის 60-ვე ქუჩასა და ყველა სოფელს. მთლიანობაში რაიონის ტერიტორიაზე დადგმულია 400 ურნა, რომელთა რიცხვი მომავალში კიდევ გაიზრდება. როგორც აღნიშნულ სამსახურში განგვიმარტეს, სოფლებიდან ნაგვის გატანა შემუშავებული გრაფიკით ხორციელდება. ამ საქმეზე არიან დასაქმებული მძღოლები ზაზა აზარიაშვილი, აკაკი სასწრაფოშვილი, ვახტანგ აზნაურაშვილი, ნუგზარ ანუაშვილი.

„სუფთა მუნიციპალიტეტი-2018“-ის მუშაკები ახლაც ჩვეული მონდომებით ირჯებიან იმისათვის, რომ დაიცვან ჩვენი მუნიციპალიტეტის სისუფთავე და ის სახელი, რომლის მოპოვებაც მათ დაარსებიდან სულ რაღაც ერთ წელიწადში შეძლეს. წარმატებები ვუსურვოთ ჩვენი რაიონის სისუფთავისა და ჰიგიენურ პირობებზე მზრუნველ ამ ამაგდარ მუშაკებს, რომლებიც საქმით ამართლებენ სამსახურის სახელწოდებას.

ბივი დაბახიშვილი

მუნიციპალური გვერდი

სოციალური დახმარების 2019 წლის პროგრამა ამოქმედდა

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2019 წლის პროგრამა ძალაში შევიდა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 882 000 ლარით დაფინანსდება.

***აღნიშნული პროგრამის შესახებ განმარტება ვთხოვეთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების საკითხთა სამსახურის უფროსს* სოფო შაქარაშვილს**

აღნიშნული პროგრამით შემდეგი სამიზნე ჯგუფები ისარგებლებენ:

1) პირველ და მეორე შვილზე 300 ლარის ოდენობის ერთჯერად დახმარებას მიიღებენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახები, რომელთაც ახალდაბადებული ბავშვი ჰყავთ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა - 140 000-მდე;

2) 200 ლარის ოდენობის ერთჯერად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირები, რომელთაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა - 140 000-მდე.

3) 400 ლარის ოდენობის ერთჯერადი დახმარებით ისარგებლებენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილინი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 ან მეტი შვილი (თუ აქედან ორი შვილი მაინც 18 წლამდე ასაკისაა) და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა - 140 000-მდე.

4) შემდეგი სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები (რომელთაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა - 140 000-მდე):

- ჯგუფის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები,
- საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე პირები,
- 9 აპრილს დაზარალებულები
- დევნილები,

სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის, აგრეთვე ოპერაციების დაფინანსებისა ან თანადაფინანსებისთვის მიიღებენ მოთხოვნილი თანხის 70%-ს, თუ ეს თანხა არ აღემატება 1000 ლარს.

ამავე სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებს, თუ ისინი სრულწლოვანები არიან, სრულად დაუფინანსდებათ 300 ლარამდე მოთხოვნილი თანხა; 18 წლამდე ასაკის ბავშვებს კი - 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა.

ამავე დროს, ხსენებული პროგრამით სამედიცინო დამხმარე საშუალებების შეძენა დაუფინანსდებათ: ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ბ) სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს და გ) ონკოლოგიურ პაციენტებს. ამ სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებს 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა სრულად დაუფინანსდებათ.

5) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის თანხა დაფინანსდება 500 ლარით.

დაუნის სინდრომის და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა რეაბილიტაცია დაფინანსდება მათი სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე.

სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა სამკურნალო რეაბილიტაცია კი დაფინანსდება 200 ლარით.

6) პროგრამა ითვალისწინებს როგორც ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარებას, ისე ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ქიმიოთერაპიის, ჰორმონოთერაპიის და ამ მკურნალობის შედეგად განვითარებული დაავადებების მკურნალობასაც.

პროგრამით გამიზნულია ასევე სხვა სიმსივნური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო დახმარება - დაუფინანსებელი თანხის 50%-ით.

აღსანიშნავია, რომ ონკოლოგიურ ავადმყოფს დახმარება გაეწევა სტაციონარულ, ამბულატორიულ და ოპერაციულ მკურნალობაშიც - სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაუფინანსებელი თანხის 70%-ით (ლიმიტის ამოწურვამდე).

ასევე სრულად და ლიმიტის ამოწურვამდე დაფინანსდება ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ქიმიოთერაპიისთვის მოთხოვნილი 500 ლარამდე თანხა.

7) პროგრამა მოიცავს ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით დახმარებასაც, თუ მოთხოვნილი თანხა 500 ლარს არ აჭარბებს.

შემდეგი სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებს (რომელთაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა - 140 000-მდე):

- სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს,
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს,
- ვეტერანებს,
- ეპილეფსიით დაავადებულ პირებს

გაეწევათ დახმარება საჭირო მედიკამენტების შეძენაში, თუ მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 500 ლარს.

საყურადღებოა, რომ პროგრამა ასევე მიზნად ისახავს:

I. ფენილკეტონურიით, ან სხვა იშვიათი დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით და სპეციალიზებული საკვები დანამატებით დახმარებას, სანამ 500 ლარამდე თანხის ლიმიტი არ ამოიწურება,

II. 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ პირთათვის საჭირო შაქრის საზომი აპარატის ჩხირების დაფინანსებას - 80 ლარის ფარგლებში (საჭიროების მიხედვით).

III. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა კვების დაფინანსებას - სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე.

IV. ყოველთვიურად 100 ლარამდე თანხით ერთ წლამდე ასაკის ბავშვების კვების დაფინანსებას, თუ ისინი ცხოვრობენ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მქონე სოციალურად დაუცველ ოჯახებში (რომელთაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა - 100 000 მდე).

8) პროგრამის მეშვეობით სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, შშმ პირებს, ვეტერანებს, 9 აპრილს დაზარალებულებს და ონკოლოგიურ ავადმყოფებს დაუფინანსდებათ გამოკვლევები.

სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა - 140 000 მდე, აუნაზღაურდებათ სამედიცინო-დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის, კორონაროგრაფიის და ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების ხარჯები. ქვეპროგრამა ითვალისწინებს თანხის 50%-ით დაფინანსებას, არაუმეტეს 500 ლარისა.

„C“ ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს კი დახმარება გაეწევათ თანხის 50%-ით, თუ იგი არ აჭარბებს 500 ლარს.

ასევე, განსაზღვრულია ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დაფინანსება ლიმიტის ამოწურვამდე - 600 ლარამდე თანხით.

9) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე დახმარება გაიცემა 50 ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში 6-ჯერ.

10) 18 წლამდე ასაკის უდედ-მამო ბავშვებს მთელი წლის განმავლობაში დახმარება გაეწევათ თვეში 100 ლარის ოდენობით.

11) პროგრამაში გათვალისწინებულია დაკრძალვის ხარჯის სახით 300 ლარის გაცემა:

- უპატრონო მიცვალებულებზე, რომელთაც არ ჰყავთ არცერთი რიგის მემკვიდრე;
- გარდაცვლილ ლტოლვილებზე, არაიდენტიფიცირებულ და სოციალურად დაუცველ პირებზე (რომელთაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა - 70 000-მდე).

12) საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვისთვის დახმარების სახით გაიცემა თანხა 300 ლარის ოდენობით.

13) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა თითოეული ოჯახი დახმარების სახით მიიღებს თანხას 500 ლარის ოდენობით.

14) პროგრამის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია თანხა დიდი სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯებისთვისაც: 100 ლარი ფულადი საჩუქარი სადღესასწაულოდ, ხოლო 250 ლარი - დაკრძალვის სარუტუალო ხარჯისთვის.

15) პროგრამის მეშვეობით გაგრძელდება ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ უფასო სასადილოების დაფინანსება.

16) სოციალურად დაუცველ ოჯახებს ადგილობრივი ბიუჯეტი მოხმარებული ელექტროენერგიის, ან ბუნებრივი აირის ღირებულების დაფარვაშიც დაეხმარება. საამისოდ, ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა - 100 000-მდე. ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ღირებულების დაფარვა შემდეგი წესით განხორციელდება:

ა) მარჩენალდაკარგული ოჯახის შემთხვევაში, სადაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვი, ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის გადასახადის დაფარვის მიზნით – 1 ბავშვზე გაიცემა 10 ლარი, 2 და მეტ ბავშვზე - 15 ლარი;

ბ) მარტოხელა მშობელი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, ამავე გადასახადის გადახდის მიზნით მიიღებს თანხას – 1 ბავშვზე 10 ლარს, ხოლო 2 და მეტ ბავშვზე 15 ლარის ოდენობით;

გ. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა (18 წლამდე ასაკის) და მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ოჯახებს გაეწევათ დახმარება – თვეში 10 ლარის ოდენობით; **დ.** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში მონაწილე შშმ პირები მიიღებენ თანხას - თვეში 10 ლარის ოდენობით **ე.** ბიუჯეტი თვეში 10 ლარის ოდენობის თანხით დაეხმარება რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახებსაც.

ვ. ამავე მოცულობის დახმარებას მიიღებენ სოციალურად დაუცველი ოჯახებიც, რომლებსაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მიენიჭათ სარეიტინგო ქულა - 65 000-დან 100 000-მდე.

17) უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა 500 ლარი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც:

- ცხოვრობენ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახში,
- არიან სოციალურად დაუცველნი და დედით, ან მამით ობოლნი,
- ჰყავთ სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობელი,
- არიან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები,
- ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელი ან მშობლები და ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში.

18) გათბობის ხარჯის ანაზღაურებისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახების უზრუნველყოფაზე გამოიყოფა თანხა 50 ლარის ოდენობით, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის კი, გამონაკლისის სახით, 100 ლარის ოდენობით.

19) 95 წელს გადაცილებულ მოხუცებს სანუქრად გადაეცემათ თანხა 200 ლარის ოდენობით.

20) პროგრამის ფარგლებში, ადგილობრივი ბიუჯეტი ასევე დაეხმარება:

- ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პაციენტებს,
- ადრეული განვითარების შეფერხებისა და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებს რეაბილიტაციისთვის ტრანსპორტირების ხარჯის დაფარვაში. აღსანიშნავია ისიც, რომ თანადაფინანსების ოდენობა დამოკიდებულია მოცემული პირის საცხოვრებელი ადგილიდან სამედიცინო პუნქტამდე არსებულ მანძილზე და განისაზღვრება ყოველთვიურად: ისინი სამედიცინო მომსახურეობის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადაადგილების შემთხვევაში 20-50 ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის გარეთ სამედიცინო მომსახურების მისაღებად 50-100 ლარით დაფინანსდებიან.

21) პროგრამის საფუძველზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა საცხოვრებლით უზრუნველყოფს შემდეგ სამიზნე ჯგუფებს:

- სტიქიით, ან სხვა განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაზარალებული ოჯახებს,
- უსახლკარო ოჯახს, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს,
- მარტოხელა სტატუსის მქონე პირებს,
- ადამიანებს, რომლებიც ძალადობას ან ტრეფიკინგს ემსხვერპლნენ.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბინის ქირა დაეფარებათ იმ ოჯახებს, რომელთაც ორი, ან ორზე მეტი შშმ პირი ჰყავთ.

დახმარება განისაზღვრება თითოეულ კატეგორიაზე 105.27 ლარით.

მარტოხელა სტატუსის მქონე პირთათვის, ძალადობის ან ტრეფიკინგის მხვერპლთათვის ქირის თანხა გაიცემა ექვსი თვის განმავლობაში.

22) მთელი წლის განმავლობაში, კვირაში ორჯერ, განხორციელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირება სოფელი უდაბნოდან ქალაქ საგარეჯოში.

23) სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადაეცემათ საღდგომო და საახალწლო ამანათები.

24) პროგრამა მოიცავს ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ოფისთან („წითელი ჯვარი“) ურთიერთობასაც .

25) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის სოციალური პროგრამა გამიზნულია უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის.

26) სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის განხორციელდება საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა, რისთვისაც ერთ ოჯახზე დაიხარჯება არაუმეტეს 500 ლარისა.

27) ხსენებული პროგრამა აგრეთვე გულისხმობს საგარეჯოს ყოფილი ტექნიკუმის შენობაში მცხოვრები, ეტლით მოსარგებლე შშმ პირისთვის პანდუსის მოწყობას და მერიის ბალანსზე არსებულ შენობა-თავშესაფრებში მცხოვრები პირებისთვის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

ინფრასტრუქტურა-2019

ქალაქ საგარეჯოში სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

პროექტი ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე მოეწყო ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი, მოპირკეთდა სტადიონის შიდა და გარე ფასადები, შეიღება ლითონის კონსტრუქცია, ხოლო ახლა, მეორე ეტაპზე ტრიბუნის და გასახდელების მოწყობა მიმდინარეობს. სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 533 275 ლარს შეადგენს.

პატარძეულში გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სოფელ პატარძეულში გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 52801 ლარით ფინანსდება. რეაბილიტაციას ტენდერში გამარჯვებული კომპანია “კავკას ავტომაგისტრალი“ ასრულებს.სამუშაოები სავარაუდოდ თვენახევარში დასრულდება.

ანგარიშს აბარებს

„ქალთა ოთახი“ და გენდერული საბჭო

***გასული** წლის 13 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირება დაიწყო „ქალთა ოთახმა“, სადაც შეიქმნა ღია სივრცე, რომელიც მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები მოქალაქეების, განსაკუთრებით კი ქალების კომპლექსურ ხელშეწყობას, ასევე - ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობას ადგილობრივ თვითმმართველობაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში.*

დღიდან დაარსებისა 2018 წელს ჩატარებულ საქმიანობაზე გვესაუბრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის გენდერზე პასუხისმგებელი პირი, „ქალთა ოთახის“ მენეჯერი *თამარ ურდულაშვილი:*

შეხვედრა შედგა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ურთიერთთანამშრომლობით დასახულ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის” ქალთა ოთახის” განვითარების გეგმა, რომელშიც ასახულია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე გათვლილი ღონისძიებები და აქტივობები. საზოგადოებას ეცნობება დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაცია CENN საგარეჯოს მუნიციპალიტეტის WaSH (წყალი, სანიტარია,ჰიგიენა) საბჭოს წევრებს შეხვდა პროექტის “წყალი სიღარიბის აღმოსაფხვრელად” ფარგლებში. არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაციამ “სპექტრი” მცირე და საშუალო ბიზნესით დაინტერესებული პირებისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახში”ჩაატარა მიზნობრივი ტრენინგი, პროექტის “ევროკავშირი და საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე” (DCFTA) ფარგლებში. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი. საგარეჯოს მენიციპალიტეტის და იორმუღანლოს ”ქალთა ოთახის” მენეჯერებმა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით გავიარეთ ტრენერთა ტრენინგი. ჩავატარე ადგილობრივი თემისთვის ტრენინგი:“პროექტების და ბიზნეს–გეგმების წერის ხელოვნება“,რაც ხელს შეუწყობს ქალთა ეკონომიურ გაძლიერებას. საგარეჯოს მენიციპალიტეტის “ქალთა ოთახთან” არსებულმა საინიციატივო ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციის ASB საქართველოს მიერ გამოცხადებულ პროექტში “პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად.”

პროექტის გამარჯვების შემთხვევაში საგარეჯოს მენიციპალიტეტის მერიის თანამონაწილეობითი წილი იქნება მოთხოვნილი თანხის არანაკლებ 10%. (1500 ევრო)

თემის გაძლიერების მიზნით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ განახორციელა პროექტი ქალაქ საგარეჯოსა და ეთნიკურ უმცირესობაში (სამიზნე თემები: იორმუღალნო, ქეშალო, ლამბალო.).

ურთიერთთანამშრომლობის მიზნით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახს” ეწვია საგარეჯოს „წითელი ჯვრის“ მენეჯერი მაია ალექსიშვილი.

საგარეჯოს მენიციპალიტეტის “ქალთა ოთახთან” არსებულმა საინიციატივო ჯგუფმა მშვიდობის კორპუსში მოხალისეზე განაცხადი შეიტანა, შეირჩა მასპინძელი ოჯახები. ადგილობრივ გაზეთ “გარეჯის მაცნეს” მიეწოდა საგაზეთო მასალები(„მინდა დავამარცხო დრო“) ახალი მუნიციპალური სერვისის “ქალთა ოთახისა” და ჩემი გამოცდილებისა და შემდგომი გეგმების შესახებ.. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახი”, არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია “სპექტრმა” პროექტის “ევროკავშირი და საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე” (DCFTA) ფარგლებში ინდივიდუალური კონსულტაციები გაუწია დამსწრე აუდიტორიას. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახმა“ გასული წლის 31 ოქტომბრიდან მოიწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან 16-დან 30წლამდე მოხალისეები, რომლის მიზანი იყო მოხალისეობის ინსტიტუტის გაძლიერება და მოხალისეობის გზით ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, მოხალისეობით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდა, საზოგადოების საკეთილდღეოდ, საკუთარი ნების საფუძველზე უანგარო შრომის იდეის პოპულარიზაცია, მოხალისეთა მიერ გაწეული შრომის წახალისება, Mercy Corps-ის წარმომადგენელი მაია მოსიაშვილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახს” ესტუმრა., სადაც ვისაუბრეთ გაწეული მუშაობისა და არსებული საჭიროებების შესახებ.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახისთვის“, იორმუღანლოს” ქალთა ოთახისთვის,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის გენდერზე პასუხისმგებელი პირისთვის ფუნქციონირებისთვის შევადგინე ბიუჯეტი. იუსტიციის სასწავლო ცენტრმა საგარეჯოში ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ ტრენინგი ჩაატარა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახმა” გამოაცხადა წერილების კონკურსი.

კონკურსის მიზანი: ახალგაზრდა თაობაში ლიტერატურისადმი მაღალი ინტერესის გაჩენა და ლიტერატურული მიმართულებების განვითარება. თემა: ქალთა მიმართ ძალადობა, გენდერული თანასწორობა, 8, 9,12 ნოემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახში” ჩატარდა ტრენინგი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის. თემა: “მართვის ფსიქოლოგია“;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახში” საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირმა ჩაატარა ტრენინგი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებისათვის. თემა: “გენდერული ასპექტები სწავლების მეთოდოლოგიაში”

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახმა“ ვიმუშავეთ და 18 ნოემბერს წარვუდგინეთ (ათეას) ორი საუკეთესო პრაქტიკის პროგრამა.

თემატიკა: გენდერული თანასწორობა,მოქალაქეთა ჩართულობა;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახი“ და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო შეუერთდა ქალთა მიმართ ძალადობის 16 დღიან კამპანიას „ნარინჯისფერი სამყარო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახის“ გახსნიდან წლის ბოლომდე ოთახს ესტუმრა 162 ვიზიტორი.

მერიის თანამშრომელ ნუცა როსტიაშვილთან ერთად გავაკეთეთ ორი განაცხადი 2017–2018 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე. თემატიკა: მოქალაქეთა ჩართულობა პროექტის სათაური: ”დემოკრატიული მმართველობა” თემატიკა: გენდერული თანასწორობა – პროექტის სათაური:”ქალთა ოთახი”.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახში”შედგა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე: სიცოცხლის გახანგრძლივება, ნაადრევი სიბერის შეჩერება,ყველა დაავადების გამომწვევ მიზეზებზე პრევენცია.” შეხვედრას უძღვებოდა: კომპანია “Jeunesse” სამედიცინო ჯგუფის წარმომადგენელი თეა მსხილაძე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახმა”უმასპინძლა მრავალ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებულ ხელოვნების სკოლას “მირელა”ს (დირექტორი მარინა ურდულაშვილი) წარმატების ფორმულის გასაზიარებლად. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახმა” ჩაატარა საქველმოქმედო აქციბ– “ გაეცი ტანსაცმელი და საკვები”, რომელიც მიზნად ისახავდა შშმ პირთა, მარტოხელა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას.

ჩატარებული აქციისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის “ქალთა ოთახს” დახმარება გაუწია არასამთავრობო ორგანიზაციამ “ქალები სამართლიანობისთვის”, რისთვისაც მადლობას ვუხდით ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელს ქალბატონ ნათია ქევხიშვილს.

აღინიშნა 16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომლის თემას წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახი და გენდერული საბჭო შეუერთდა კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. კამპანიის 16 დღე დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობებით.

მოეწყო: ვიდეორგოლის ჩვენება თემის წარმომადგენლებისთვის „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხებზე იურიდიული დახმარების შესახებ“ ასევე ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

* მრგვალი მაგიდა–შეხვედრა სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან.

* ლიტერატურული კონკურსი ძალადობის თემატიკაზე.

* უფლებადამცველთა დღე ვიდეორგოლი საჯარო სამსახურში სექსუალური შევიწროვების დაუშვებლობასთან და კურსი საჯარო მოხელეებისათვის სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრის შესახებ.

* იორმუღანლოს თემის ახალგაზრების მიერ გამოყოფილი პრიორიტეტების კატეგორიზაცია საგარეჯოს წითელი ჯვრის ფილიალთან და საგარეჯოს „ქალთა ოთახის“ მენეჯერებთან ერთად.

*გასვლითი კონსულტაცია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან.

* გენდერულ კვირეულთან დაკავშირებული საინფორმაციო შეხვედრა რწმუნებულებთან;

* ფილმის ჩვენება და განხილვა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ზურაბ ინაშვილის „ხმა ამოიღე“;

* ფილმის ჩვენება და განხილვა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ლია ჯაჟელის „2014“;

* საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ტრენინგი თემაზე „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის სამართლებრივი საშუალებები“, მიზნობრივი ჯგუფი: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები.სამსახურის უფროსები,საზოგადოების წარმომადგენლები, რწმუნებულები;

* გენდერული საბჭოს წევრების შეხვედრა ნინოწმინდისა და წყაროსთავის თემთან გენდერული კვირეულის ფარგლებში. (გენდერული საბჭოს წევრების მიერ მოსამზადებელი ბროშურის „ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისათვის“მაკეტის გაცნობა);

* საინფორმაციო შეხვედრა საზოგადოებასთან და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან თემაზე“ადამიანის უფლებათა დღე”;

* კონკურსი დოკუმენტური ფილმის შექმნაზე. წარდგენის ბოლო ვადა დათქმული იყო 2019 წლის 5 თებერვალი. გამარჯვებული ფილმის პრეზენტაცია – 2019 წლის 3 მარტი. ასაკი და სქესი შეუზღუდავია.

* ტრენინგი თემაზე: გენდერული ძალადობა და მისი ფორმები, აღმოფხვრის გზები“

* შეხვედრა სპორტსმენებთან, მსახიობებთან, მხატვრებთან. საჯარო მოხელეებთან, პოლიციის თანამშრომლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან... ექიმებთან, .სკოლის დირექტორებთან. ბაღის მენეჯერებთან. თემის წარმომადგენლებთან.

მოეწყო გამოფენა „ძალადობის ინტერიერი“

პერფორმანსი:

„მე ქალი ვარ...“

“არა ქალთა მიმართ ძალადობას“

” შედეგე სამყარო ნარინჯისფრად“

წარმატებული ადამიანების დაჯილდოვება.

* ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე განხორციელებული ღონისძიებების შესახებ:

როგორც თქვენთვის ცნობილია, მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და კაცთა უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის და ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის დანიშნულია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ რგოლში შესაბამისი ფუნქციებითა და უფლებამოსილებითგენდერული თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი პირი.

გენდერულ თანასწორობაზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩავატარე საჯარო უწყების .აიპ თანამშრომლებთან საინფორმაციო შეხვედრა,ტრენინგი “გენდერი და სქესი”

მოვამზადე გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა. გეგმა დამტკიცებულია და გამყარებულია ფინანსურად ,2018–2019 წლის ბიუჯეტი შეადგენს 15000 ლარს. გეგმით გაწერილი აქტივობები ვადებში ხორციელდება.

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული იყვნენ სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორი, ოპოზიციური პარტიის და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები.

მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებს და მოქალაქეებს ვუწევ კონსულტაციებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

ვახდენ მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული დოკუმენტების, სოციალურ- ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, მუნიციპალური პროგრამების და გეგმების სამართლებრივი აქტებისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანალიზს, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია;

იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგი:”ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ”

ვაწარმოებ გენდერული სტატისტიკას.

ვამზადებ რეკომენდაციას, რათა მუნიციპალიტეტის ორგანოებში საჯარო სამსახურში მიღების და დაწინაურების პროცესში დაცული იყოს გენდერული ბალანსი, სამსახურებრივი დაწინაურების პროცესში ხელს შევუწყობ ქალებს, მეტი ქალი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე, ვთანამშრომლობ სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტთან, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათთვის ვაპირებ შესაბამისი ინფორმაციების და ანგარიშების მიწოდებას.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით (2018-2020 წლებისთვის) გათვალისწინებული განხორციელებელი აქტივობების შესახებ:

გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების კუთხით ,კერძოდ ქალთა აუნაზღაურებელი შრომის აღიარებასა და შემცირებაზე ვმუშაობთ გრძელვადიან სტრატეგიაზე და მიმდინარე წელსვფიქრობთ განხორციელებაზე.თუმცა ნაწილობრივ მუნიციპალიტეტი ზრუნავს ქალებისთვის აუნაზღაურებელი შრომის შემცირებაზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტს მოწესრიგებული აქვს სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის სასმელი წყლის, ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო სერვისები. კერძოდ, გზები, წყალი, გარე განათება,საჯარო ტრანსპორტი, გაზმომარაგებით და ელექტროენერგიით. საჭიროებების კვლევა განხორციელებულია. განხორციელებულია ცნობიერების ასამაღლებლად საინფორმაციო შეხვედრები ადრეული ქორწინების შესახებ ეთნიკური უმცირესობის, მაღალმთიან თემებში. შეხვედრები ვაწარმოვეთ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან.

გვქონდა საუბრები ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული გათვალისწინებული განხორციელებელი აქტივობების შესახებ:

– ლიდერობის ტრენინგები დევნილი და ეკომიგრანტი ქალებისთვის და ახალგაზრდებისთვის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით ჩატარებულია უფასოდ.

– დევნილი ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, სამეურნეო და სხვა სახის პროგრამები გათვალისწინებული გვაქვს მიმდინარე წლის ბიუჯეტში.

– სამეწარმეო და ბიზნეს უნარ-ჩვევებში საჭიროებებზე მორგებული ტრენინგები უსასყიდლოდაა ჩატარებული დევნილ და ეკომიგრანტი ქალებისთვის და გოგოებისთვის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ასოციაცია „სპექტრის (ხელმძღვანელი სოფიო მანძულაშვილ–ხარებავა) მიერ.

ფიქრები ახალ რეფორმაზე

დადებითიც და უარყოფითიც

***განათლების** რეფორმის ფარგლებში ეროვნული გამოცდებისა და გამოსაშვები გამოცდების სისტემამ ცვლილება განიცადა. ახალი მოდელი, როგორც საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ხსნიან, ითვალისწინებს სკოლის როლის გაძლიერებას და უნივერსიტეტის ავტონომიის ეტაპობრივ ზრდას. სიახლე ასეთია: 2018-2019 სასწავლო წელს მე-11 და მე-12 კლასელთათვის მოიხსნება გამოსაშვები გამოცდები.*

თუ რას ფიქრობენ ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები და მათი პედაგოგები ამის შესახებ, გთავაზობთ მათ ნააზრევს:

მოსწავლეების პოზიცია

ზაზა ძარსაულიძე – *საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე:*

– ადამიანს ამ საკითხის შესახებ სხვადასხვანაირი აზრი შეიძლება ჰქონდეს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. დადებითი ჩემი აზრით ისაა, რომ მოსწავლეები აღარ ივლიან რეპეტიტორებთან, რაც ოჯახის ფინანსებს დაზოგავს. არავისთვისაა დასამალი, რომ სკოლის მოსწავლეები XI კლასიდან რამდენიმე საგანში ვემზადებით, რადგან ასე გახდა აუცილებელი... ისევ და ისევ სასწავლო პროგრამის გამო. უარყოფითი, ჩემი აზრით ისაა, რომ მოსწავლეთა იმ კატეგორიას, რომელსაც საერთოდ არა აქვს ნაფიქრი წინა წლებში სწავლაზე, იძულებული ხდება „აზრზე მოვიდეს“ და სწავლას XI კლასიდან მაინც შეუდგეს, რადგან გამოცდები იწყება XI კლასში და რა არის კიდევ გასათვალისწინებელი – პედაგოგს არ აქვს შესაბამისი ხელფასი, რის გამოც იძულებულია რეპეტიტორობას მიჰყოს ხელი... იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდება გამოცდები, ე.ი. მასწავლებელიც შემოსავლების გარეშე რჩება.

კესო ქვლივიძე – *საგარეჯოს II საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე:* –

მიმაჩნია, რომ ფიზიკა, ქიმია და საერთოდ ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს თავის დროზე. უბრალოდ ავიღოთ ფიზიკისა და გეოგრაფიის საგნები, რომლებიც შარშან ერთდროულად ვისწავლეთ. არადა ორივე საგნის სწავლა სკოლებში უფრო ადრე და უფრო საფუძვლიანად იწყებოდა. წარმოუდგენელია ის ფაქტი, რომ გასულ წელს ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია ერთმა მასწავლებელმა გვასწავლა... ახლა, როცა მეთერთმეტე კლასში გამოცდები გაუქმდება, მოსწავლე საერთოდ აღარ მიაქცევს ყურადღებას ქიმიას, აღარც ფიზიკას და აღარც ბიოლოგიას.

მარიამ კევლიშვილი – *საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე.* – **ჩემი** აზრით, თუ გამოცდები

უნდა მოიხსნას XII კლასში, მაშინ სკოლაში თითოეული საგნის სწავლება უნდა გაძლიერდეს, რაღაც უნდა შეიქმნას ისეთი, რომელიც მოსწავლეს „აიძულებს“ სწავლა თავიდანვე დაიწყოს.. ახლა მეთერთმეტე კლასში იწყებს მოსწავლე სწავლას – ისიც XII კლასის გამოცდების „შიშით“ და აუცილებლობით. ახლა? რა იქნება? მართლაც უარყოფითი შედეგი ექნება გამოცდების გაუქმებას – ვინ დაინტერესდება თუნდაც იმ მინიმალური ცოდნის მიღებით, რასაც მოსწავლე XI კლასიდან „იწყებდა“?!

ელვინ ძაზუმოვი – *იორმუღანლოს საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე:* – ამ ცვლილებაში დადებითს ბევრს ვერაფერს ვხედავ, უარყოფითი კი ბევრია. პირველი კი ისაა, რომ მოსწავლეები ისე აღარ ისწავლიან, როგორც ადრე, გამოცდების მოლოდინში სწავლობდნენ.

პედაგოგის პოზიცია

რიზვან უსუფოვი, *იორმუღანლოს საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მასწავლებელი.*

ამ ცვლილებას დადებითად ვაფასებ, რადგან მოსწავლეები მეტ ყურადღებას დაუთმობენ სასწავლო პროცესს და რეპეტიტორებთან სიარული გამოცდებისათვის მოსამზადებლად აღარ მოუწევთ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოცდები სრულად ვერ ამოწმებდა მოსწავლეების ცოდნასა და შესაძლებლობებს და ასეთი ფორმალური ბარიერები განათლების წინსვლას მხოლოდ აფერხებდა.

ამ ცვლილებას, რა თქმა უნდა, დადებითთან ერთად აქვს გარკვეული უარყოფითი მხარეებიც. მიმაჩნია, რომ ისინი დამატებით კიდევ საჭიროებენ დაკონკრეტებას, ახალ ინიციატივებს, რაც შესაძლებელს გახდის ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა განათლების მიღებას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

ლია როსტიაშვილი – *დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის დირექტორი:*

– ვულოცავ XI კლასელებს გამოცდების გაუქმებას და ასევე ვულოცავ XII კლასელებსაც. ყველაფერი მიხარია, რაც ბავშვებს ახარებთ. ბ-ნი მიხეილ ბატიაშვილი ისტორიაში შევა, როგორც ბავშვებისათვის ყველაზე საყვარელი მინისტრი. ძალიან მინდოდა XII კლასშიც გაუქმებულიყო გამოცდები, რადგან ძალიან განიცდიდნენ ბავშვები. არასოდეს რომ არ უყურებდნენ საინფორმაციო გადაცემებს, ახლა არც ერთს არ ტოვებდნენ, ელოდებოდნენ მინისტრის გამოსვლას. და მოლოდინიც გაუმართლდათ – XII კლასშიც გაუქმდა გამოცდები.

აღნიშნული გამოცდების გაუქმება ძალიან სამართლიანი გადაწყვეტილებაა ბევრი გარემოების გათვალისწინებით. ეს იყო საგნები, რომელთა სწავლაც ბავშვებს უჭირთ რეპეტიტორთან მომზადების გარეშე. ასევე, უხდებოდათ ბავშვებს სოფლიდან გასვლა სპეციალისტების გამო და შესაბამისად საკმაოდ დიდ ხარჯთან და საფრთხესთან იყო დაკავშირებული, ასევე გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ მოსწავლეებს არ რჩებოდათ დრო სხვა საგნებში მეცადინეობისათვის. ძალიან ბევრ საგანში უხდებოდათ ბავშვებს მომზადება. უსამართლო იყო ეროვნულ გამოცდაზე უნარების ჩაბარება, რომელსაც ბავშვი სკოლაში არ სწავლობდა. არ შეიძლება ბავშვი შემოსავლის წყაროდ გაიხადოს ვინმემ. ბავშვს სიყვარული, სითბო და მზრუნველობა უნდა ვაჩვენოთ, რომ კარგი მოქალაქე გაიზარდოს. როცა ბავშვი გრძნობს, რომ მის კეთილდღეობაზე ზრუნავენ, აუცილებლად კეთილშობილი ადამიანი გაიზრდება და ისევე იზრუნებს ყველასა და ყველაფერზე, როგორც ზრუნავდნენ მასზე. იძულებით თბილი ურთიერთობები არ არსებობს, გარემოება აყალიბებს თბილ ურთიერთობებს და ეს გადაწყვეტილება ძალიან დაეხმარება სკოლას უფრო მეტად თბილი ურთიერთობების განვითარებაში. პირადად ჩვენს სკოლას ბევრი პრობლემა მოეხსნა, რადგან ჩვენი ბავშვები სხვა სოფელში აბარებდნენ გამოცდებს, რაც დამატებით სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

განსაკუთრებით აღფრთოვანებული ვარ ეროვნული გამოცდებში ცვლილებით, მართლა ისტორიული ფაქტია ქართული ენის და ისტორიისათვის უპირატესობის მინიჭება. ქართულ ოჯახში დედა ენა უნდა მეფობდეს და ისტორია ყველამ უნდა იცოდეს, არა აქვს მნიშვნელობა, რა პროფესიის ადამიანი ხარ. ასე მგონია, თუ შენი ქვეყნის ისტორია არ იცი, შენი ქვეყნის პატრიოტი არ ხარ.

ასე, რომ „ქართული ოცნება“ კეთილ ოცნებებს ასრულებს. ვამაყობ, მართლაც ეროვნული მთავრობა გვყავს, ბავშვების კეთილდღეობაზე განსაკუთრებით მზრუნველი. პირადად ჩვენმა სკოლამ ბევრი სიკეთით ისარგებლა ამ მთავრობის ხელში და მადლობა უფალს, სოფელიც სათანადოდ აფასებს. ეს გადაწყვეტილება გმირობის ტოლფასია და ჭეშმარიტად ქრისტიანული – ერთ მხარეს დგას გახარებული ბავშვები, მეორე მხარეს განაწყენებული რეპეტიტორები, გამოცდებზე დამკვირვებლები და ა.შ. რომელთა შემოსავლის წყარო შემცირდება მნიშვნელოვნად. მაგრამ, ზუსტად ვიცი, კეთილგონიერი ადამიანები ამას მშვიდად შეხვდებიან და საქართველოში უფლის წყალობით შეგნებული ადამიანები ყოველთვის ჭარბობენ. ყველა კმაყოფილი ვერ გვეყოლება. მთავარია, უფლის წინაშე ვიყოთ მართლები და ამ გადაწყვეტილებით ზუსტად ვიცი – ჩვენი მთავრობა და განათლების მინისტრი მართალია ბავშვების და უფლის წინაშე.

თ. ილაური

მედალოსნების დაჯილდოება

1 თებერვალს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების“ პროგრამის ფარგლებში, ქალაქ საგარეჯოს 1 საჯარო სკოლაში 2016-2017 წლის კურსდამთავრებული მედალოსნების დაჯილდოება გაიმართა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2016- 2017 სასწავლო წლის წარჩინებულ 23 მოსწავლეს მედლები და სიგელები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა და რესურსცენტრის უფროსმა მანანა ცუცქირიძემ ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად გადასცა.“ ჩემთვის დიდი პატივია ამ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა. მინდა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით, აქ მყოფ ყველა მედალოსანს მივულოცო დიდი წარმატების მიღწევა. თითოეულ მათგანს ვუსურვებ ხარისხიანი განათლების მიღებას და მაღალი დონის პროფესიონალად ჩამოყალიბებას,“ – განაცხადა გიორგი ერბოწონაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ 15 ოქროს და 8 ვერცხლის მედალოსანს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისგან ფულადი ჯილდო საკუთარ ანგარიშებზე დაერიცხებათ.

ტერიტორიული ორგანო

კაკაბეთი

გაბრძელება

1929 წლიდან კაკაბეთი ახლადშექმნილი საგარეჯოს რაიონის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში შევიდა. მანამდე ის სიღნაღის მაზრაში შედიოდა.

დღევანდელობა

ანსამბლი „ბერიკაცები“ ***(ხელმძღვანელი ნიკო გიგოშვილი)*** შეიქმნა 1979 წელს კაკაბეთში. იგი იმ გუნდების მემკვიდრეა,

რომლებიც სოფელში საუკუნის დასაწყისიდან არსებობდა. 1990 წლიდან ანსამბლს ნიკო გიგოშვილი უძღვება.

ჯგუფის მიზანი სახელოვანი კაკაბეთელი მომღერლების - მიხა ჯიღაურისა და ვანო მჭედლიშვილის ტრადიციების გაგრძელება და მომავალ თაობებზე გადაცემაა.

***

დიმიტრი მჭედლიშვილი –*კაკაბეთის მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში*

ჩვენი სოფელი ერთ-ერთი დიდი სოფელია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში.. აქ 1400 კომლია, რომელთაგან 230 სოფელთან კავშირგაწყვეტილია. მოსახლეობა 3341 კაცია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 5463 ჰა-ს შეადგენს, ვენახი 897 ჰა, ხორბლის ნათესებს – 900 ჰა უკავია, ქერისას – 300. მოსახლეობა კომპაქტურადაა დასახლებული ე.წ. „კუპატაძიანთ“, „სკოლის“, „ღვინაანთ“, „პაპუაანთ“, „გულაღაანთ“, „მჭედლიაანთ“, „ჭიკაძიანთ“ უბნებში.

კაკაბეთის მოსახლეობას ემსახურება 1 საჯარო სკოლა, ორი საბავშვო ბაღი, ამბულატორია, ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი. როგორც ცნობილია, აქ გასულ წელს ჩატარდა საჯარო სკოლის, საბავშვო ბაღების, (№1-ში დამთავრდა, №2-ში მიმდინარეობს) სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოფელს ემსახურება სოფლის ბიბლიოთეკა და კულტურის სახლი, ასევე ოჯახის ორი ექიმი, რომელთა მომსახურებითაც კმაყოფილია სოფელი.

სოფლისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს სასმელი წყალი. ის ძირითადად სარგებლობს ე.წ. „სათავის“და „დვრინის“ წყლის სისტემით, რომელიც არ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას სასმელ წყალზე, ამიტომაც საჭირო გახდა დამატებითი წყლის რესურსის მოძიება. ამ მიზნით 2016 წელს მოხდა პროექტირება და 2018 წელს საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარების ფონდის დაფინანსებით დაიწყო პროექტის განხორციელება – ორ ეტაპად. დღეის მდგომარეობით დამთავრებულია პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავს ჭალიდან წყლის ამოტუმბვის სამუშაოებს. მოეწყო შემკრები აუზები, საიდანაც ტუმბოთი მოხდება წყლის გადმოტუმბვა ავზიდან „გორის წყლის“რეზერვუარში. 2019 წელს გაგრძელდება II ეტაპი, რომელიც მოაწყობს სოფელში ახალ ქსელს ინდივიდუალური წყლის მოხმარებისათვის. მიმდინარე წელსვე მოხდება წყალმომხმარებლების გამრიცხველიანება.

ჩატარდა სამუშაოები სოფლის სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად ე.წ. „კუპატაძეანთ უბნის“ მიმდებარე ტერიტორიის გასასარწყავებლად, რომელიც წელს შევა ექსპლოატაციაში.

სასმელი წყლის ქსელების მოწყობის დამთავრებამდე გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯერჯერობით შეჩერებულია. სოფელი გაზიფიცირებულია, სოფლის 5 ცენტრალურ ქუჩაზე არის ღამის განათება. სოფელს ემსახურება დასუფთავების სამსახური. ნაგვის ურნები განთავსებულია რამდენიმე ქუჩაზე და წელს დაგეგმილია დამატებითი ურნების განთავსება.

***

***მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ კაკაბეთში* ზაქრო გულაღაშვილი** 2018 წლის ივლისიდან შეუდგა საქმიანობას:

ინფრასტრუქტურა

2018 წელს ე.წ. „სკოლის უბანში“ სასმელი წყლის დაზიანებული მაგისტრალის აღსადგენად შესყიდული იქნა (3992 ლარი) პოლიეთილენის მილი; ე.წ. „ავაზნის“ მიმდებარედ სასმელი წყლის სატუმბ სადგურში დაზიანებული ტუმბოს შესაცვლელად შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა ტუმბო (6450 ლარი); მოქალაქე თამაზ მირიანაშვილის ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლის აღდგენას მოხმარდა 11878 ლარი; სოფლის №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოხმარდა 90000 ლარი (აღნიშნული დაწესებულების შენობას შეეცვალა სახურავი, მოეწყო სამზარეულო და სველი წერტილები), ხოლო №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის სახურავის შეცვლაზე, ჭერისა და იატაკის მოწყობაზე გაიხარჯა 65000 ლარი.

2018 წლის ზაფხულში დაიწყო კაკაბეთის სასმელი წყლის ქსელის მოწყობა, რომლის სამშენებლო ღირებულება 1049957 ლარია. პროექტს აფინანსებს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი. ამჟამად დამთავრებულია მშენებლობის I ეტაპი.

2019-2020 წლებში გათვალისწინებულია:

სოფელ კაკაბეთის ე.წ. „მჭედლიაანთ“და „კუპატაძეანთ“ უბნებში გზის საფარის მოხრეშვა, შიდა უბნების სრულყოფილად განათებისთვის გარე განათების ნათურების დამონტაჟება; ამასთან ე.წ. „ავაზნის წყალი“ საჭიროებს პირველი სახის დაბრუნებას (წყალშემკრებ ავზამდე შესასვლელი მილებით აქ სარგებლობს ფერმერთა გარკვეული ნაწილი, რის გამოც ავზი სრულყოფილად ვერ ივსება და ვერ ხერხდება მოსახლეობის საკმარისი ოდენობის სასმელი წყლით მომარაგება); საჭიროა ქუჩების და ჩიხების დამისამართება.

სოფელში ფუნქციონირებს სასოფლო ბიბლიოთეკა და სასოფლო კლუბი

მარინე მახარობლიშვილი – *ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი*. – კაკაბეთის ბიბლიოთეკის ფართი 61 მ2-ია, რომელიც

კაკაბეთის თემის საკრებულოს შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. ჩვენი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 22975 ეგზემპლარ წიგნს მოიცავს და მისი ღირებულება 32563.12 ლარია. მკითხველთა უმრავლესობა სოფლის საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და პენსიონერები არიან. გასულ – 2018 წელს ბიბლიოთეკა 495 აბონენტს მოემსახურა და მათზე გავეცით 9711 ეგზემპლარი წიგნი. ყველას მოგეხსენებათ, დღეს წიგნის შეძენა არ ჭირს, არსებობს უამრავი გამომცემლობა, ასე, რომ მოსახლეობის უმეტესობას სახლში დიდი და საინტერესო ბიბლიოთეკა აქვს, მაგრამ სოფლის ბიბლიოთეკასთან ურთიერთობა მაინც აინტერესებს ჩვენი აბონენტების გარკვეულ ნაწილს – ჩვენთან წლის განმავლობაში მრავალი საინტერესო ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი, სადაც მონაწილეობას საჯარო სკოლის მოსწავლეები და ახალგაზრდები ღებულობენ. გასულ წელს ჩვენთან ჩატარდა თემატური საღამოები: „ქალი სამყაროს სანიმუშო ქმნილებაა“, „ჩვენი ენა ქართული“, „მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს“. ასევე ჩავატარეთ საბავშვო დილა – „ჩემი საქართველო“, მოეწყო ასტრიდ ლინდგრენის წიგნის „პეპი გრძელიწინდას“ განხილვა, ჩატარდა პოეზიის საღამოები: „ვაზდაბურული სამშობლო, ჩემი უკვდავი კახეთი“, „ჩემი ლექსი კი ნორჩია მარად, ვით სიყვარული, ვით ნაძვისფერი“.

ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო: „ჩვენთან ქურციკი ღამეს ათევდა“, რომელიც მიეძღვნა გიორგი ნაფეტვარიძეს. ბიბლიოთეკის აბონენტებთან ერთად მოეწყო ლაშქრობა მარშრუტით: ღვთისმშობლის ეკლესია-სამება-კავთა; ვიყავით ექსკურსიაზე მარტყოფის ღვთაების მონასტერში; შეხვედრა მოვუწყეთ ბიბლიოთეკარ პოეტს მამუკა თეთრაძეს. მოვიწვიეთ ეროვნული ბიბლიოთეკიდან საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრები ინგა ფილაური-ლორია, ციცო ქველიძე და და საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

სიამაყით მინდა გითხრათ, რომ ჩვენს ბიბლიოთეკას აღებული აქვს სერტიფიკატი საბიბლიოთეკო კვირეულის ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. წლის ბოლოს ჩავატარეთ საბავშვო დილა – „საქართველოს მიწაზე გაუმარჯოს ახალ წელს!“, სადაც მონაწილე ბავშვებს გადავეცით საახალწლო საჩუქრები.

მონიკა ლეშავა – ***კაკაბეთის კულტურის სახლის საკლუბო მუშაობის სპეციალისტი:*** – გასულ, 2018 წლის 8 მარტს ჩავატარეთ ღონისძიება, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. აქ მოვიწვიეთ კაკაბეთის ღვაწლმოსილი, პენსიონერი ქალბატონები და მათ მართლაც გულთბილი შეხვედრა მოვუწყეთ – ღონისძიების დასასრულს მათ ფასიანი საჩუქრები გადავეცით. წლის ბოლოს, 26 დეკემბერს კი საახალწლო ღონისძიებაში ყველა ასაკის ადამიანი მონაწილეობდა. საახალწლო კონცერტში მონაწილეობა მიიღო კაკაბეთის კულტურის სახლთან არსებულმა ანსამბლმა „ბერიკაცები“. ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებს გადაეცათ საახალწლო საჩუქრები.

ამჟამად ვემზადებით სარვამარტო ღონისძიების ჩასატარებლად.

საჯარო სკოლა

კაკაბეთის საჯარო სკოლაში (დირექტორი პაატა ჩხეიძე) 275 მოსწავლის აღ-

ზრდას 36 პედაგოგი ემსახურება, აქედან სერთიფიცირებულია – 18.

აქ 14 საფინანსო კლასია

სკოლის შენობას ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გასულ წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

დაწესებულება №1

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №1-ის მენეჯერია **ლეილა ამბარდნიშვილი.** ქ-ნმა ლეილამ კაკაბეთის საბავშვო ბაღში 1984 წლიდან დაიწყო მუშაობა აღმზრდელ-მასწავლებლად (დამთავრებული აქვს ყოფილი ალ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია), შემდეგ კი 1997 წლიდან დაწესებულების მენეჯერია. 37 აღსაზრდელის სწავლა-აღზრდის საქმეს აქ აღმზრდელი ნელი მგალობლიშვილი, ლოგოპედი ლია პეტრიაშვილი, მუსიკის მასწავლებელი მარი ღვინაშვილი, აღმზრდელის თანაშემწე ნონა გულაღაშვილი, მზარეული თამარ ყუშიტაშვილი, მედდა სოფო ჭიკაძე და დამლაგებელი ლალი კოჭლამაზაშვილი ემსახურება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობა წლების განმავლობაში საჭიროებდა შეკეთებას. შენობა ექსპლოატაციაში 1984 წლიდან შევიდა და მას შემდეგ აქ გასულ წლამდე არც შიდა და არც გარე რემონტი არ ჩატარებულა. უბრალოდ, კაკაბელთა გადმოცემით, თავად ქ-ნი ლეილა ოჯახის წევრების თანადგომით ახერხებდა შიდა კოსმეტიკური რემონტის ჩატარებას ყოველი ახალი სასწავლო წლის დაწყებისას. გასულ წელს საქართველოს

დასასრული მე-8 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

ტერიტორიული ორგანო

კაკაბეთი

დასასრული

რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით აღნიშნული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოიყო 90 ათასი ლარი, რითაც მოხდა შენობისათვის ახალი სახურავის მოწყობა,

სამზარეულოსა და სველი წერტილების მოწყობარეაბილიტაცია.

დღეს დაწესებულების აღსაზრდელები მართლაც შეცვლილ, გალამაზებულ სივრცეში ეუფლებიან იმ სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამას, რაც მათი ასაკისთვისაა გათვალისწინებული.

დაწესებულება №2

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №2-ის მენეჯერია **მაყვალა მეურმიშვილი.** ქ-ნმა მაყვალამ სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1985 წლიდან აღნიშნულ დაწესებულებაში პედაგოგად დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი – 1997 წლიდან – მენეჯერად. აქ 39 აღსაზრდელს პროფესიული უნარ-ჩვევებით ემსახურებიან აღმზრდელ-პედაგოგები შორენა შიშნიაშვილი, ციცინო ცხვარიაშვილი, აღმზრდელის თანაშემწეები ია აზნაურაშვილი და ნათია მენაბდიშვილი, მუსიკის მასწავლებელი ია ჩხეიძე, ლოგოპედი ლია პეტრიაშვილი, მზარეული მარინე დიღმელაშვილი, დამლაგებელი მარინე ზულიაშვილი და მედდა თამარ ელიზბარაშვილი.

შენობა, რომელშიც აღნიშნული დაწებულებაა განთავსებული 1972 წლიდან ემსახურება კაკაბელი მომავალი თაობის აღზრდას. მას შემდეგ შენობას არ ჩატარებია არ შიდა და არც გარე რემონტი. აქაური პერსონალი ყველანაირად ცდილობდა დაწესებულებისათვის იმ სახის შენარჩუნებას, რაც თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით ესაჭიროება სააღმზრდელო კერას. მხოლოდ გასულ – 2018 წელს მოხერხდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების 65 000 ლარით რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსება. ამ თანხით აქ შეიცვალა შენობის სახურავი, ოთახებში მოეწყო ჭერი და იატაკი,

დარჩა მხოლოდ სამზარეულოში გამწოვის დამონტაჟების სამუშაოები, რომლებიც ალბათ მეორე ეტაპზე განხორციელდება. აქ კაკაბელი აღსაზრდელები ამ საოცარი, გამშვენიერებული გარემოს ბინადარნი, მართლაც დიდი ენთუზიაზმით შეუდგებიან „თავიანთ სამუშაოს“ – სასწავლო პროგრამის ათვისებას.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა საგარეჯოს „სათნოების სახლი“

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის გაერთიანების“ (დირექტორი ილია კუჭუაშვილი) 220 ბენეფიციარი სათნოების ორ სახლშია გადანაწილებული. „სათნოების სახლი“ №1-ში (ადმინისტრატორი პაატა ბასილაშვილი) ყოველდღიურად 85 ბენეფიციარი იღებს სადილს, №2-ში (ადმინისტრატორი დალი როსტომაშვილი) – 135. გასულ წელს აქ მნიშვნელოვნად შეიცვალა, მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა.

საუბარში, როგორც გაერთიანების დირექტორმა **ილია კუჭუაშვილმა** გვითხრა: – ჩვენს მუშაობას ყოველწლიურად ამოწმებს და სწავლობს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის რეგიონული სამსახური. გასული წლის შემოწმებით შენიშვნები იყო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გამოსასწორებლად. კონკრეტულად №1 სახლში მთლიან ფართობზე ჭერი იყო გამოსაცვლელი, შესაცვლელი იყო კანალიზაცია, სამზარეულოს კედელზე გასაკრავი იყო კაფელი, ბენეფიციარებსა და მომსახურე პერსონალს არ ჰქონდათ საპირფარეშო; №2-ში კი სამზარეულო და სამრეცხაო მოითხოვდა კაპიტალურ რემონტს.. აღნიშნული შენიშვნები გაითვალისწინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და მდგომარეობის გამოსასწორებლად გამოიყო შესაბამისი თანხები. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სათნოების ორივე სახლში ამ მხრივ ყველაფერი მოწესრიგდა, რაზედაც მინდა ***ჩვენი ბენეფიციარების სახელით მადლობა ვუთხრა ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და პირადად მუნიციპალიტეტის მერს*** – **გიორგი ერგოფონაშვილს.**

რაც შეეხება კვებას, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენთან კვება ერთჯერადია. თითოეულ ბენეფიციარზე ყოველდღიურად გამოიყოფა 1 ლარი და 18 თეთრი. გასულ წელს კვებისათვის სუფსიდიის სახით გამოყოფილი იყო 110610 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 105010 ლარი. საერთოდ, ჩვენი გაერთიანებისათვის წლიური ბიუჯეტი 184800 ლარით იყო განსაზღვრული, საიდანაც ათვისებულ იქნა 181485 ლარი. სადილში შედის კვირაში ორჯერ ხორციანი საჭმელი: ბორშჩი (ორშაბათს), გუფთა (სამშაბათს), ხილის კომპოტი, მენიუში გვაქვს თევზი (კვირა დღეს), ვერმიშელი, მაკარონი, წიწიბურა, ყოველდღიურად. მომარაგება ნორმალურად მიმდინარეობს, ტენდერში გამარჯვებული მომმარაგებელი ორგანიზაციაც ცდილობს ხარისხიანი პროდუქტის შემოტანას.

ჩვენი მომსახურე პერსონალი ყოველთვის მობილიზებულია თითოეულ ბენეფიციარს მოემსახუროს მაღალ დონეზე. აი, ისინიც: „სათნოების სახლი“ №1-ის მზარეულები: ნათელა მოძმანაშვილი და მაია კევლიშვილი, ჭურჭლის მრეცხავი – ლეილა კავთუაშვილი, დამლაგებელი – მზია ქურდოვანიძე, №2 სახლის მზარეულები თამარ არჩუაძე და ნინა დარბაისელი, ჭურჭლის მრეცხავი – ნელი ქურხული, დამლაგებელი – მარინე კუპატაძე, დამხმარე – გია დარბაისელი.

ვფიქრობთ, ჩვენი სათნოების ორივე სახლის ინფრასტრუქტურული და მომსახურების დონეც დღევანდელი მოთხოვნების სტანდარტებს აკმაყოფილებს.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com